

ფერმერთა გზამკვლევი

ხურმის მოვლა-მოყვანა,
ეკონომიკური მაჩვენებლები



თბილისი, 2017

Project name: Development of horticulture in Kakheti Region of Georgia

პროექტი: მეხილეობის განვითარება კახეთის რეგიონში



შესავალი

სამშობლო-ჩრდილოეთ ჩინეთია. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული — იაპონიაში, ჩინეთში, თურქეთში, აშშ-ში, ესპანეთში, იტალიაში, შუა აზიის ქვეყნებში, აზერბაიჯანში და სხვა.

საქართველოში იგი შემოტანილ იქნა იაპონიიდან 1895 წელს ჩაქვში.

ხურმა ბარის მცენარეა, მთაში ზღვის დონიდან 900 მეტრზე მაღლა თითქმის არ გვხვდება. მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელია დაბლობი, ტენით უზრუნველყოფილი დაბლობები, ხევები და ნესტიანი ფერდობები.

ბუნებრივად დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში, უფრო მეტად კი კოლხეთში, კახეთში ალაზნის მარცხენა მხარესაა, საკმაოდ სწრაფმზარდი ხეა ძლიერი ფესვთა სისტემით, ფართოდ კულტივირებული საქართველოში, გამოყენებულია ხურმის მსხვილნაყოფა საუკეთესო საბალო ფორმების საძირედ.

ხურმის ნაყოფი 61 მგ პროცენტამდე ვიტამინ C-ს და კაროტინს შეიცავს. აღმოსავლეთის ხურმის ნაყოფების დაკონსერვებული წვენი თირეოტოქსიკოზის დროს გამოიყენება, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: ახალად დაკრეფილი ნაყოფებიდან გამოწურულ წვენს 20 პროცენტის რაოდენობით ემატება სპირტი.

ნაყოფებისგანვე ამზადებენ შესქელებულ წვენს (ხურმადოშაბი), რომელსაც ჰიპერტონიის დროს იყენებენ, აგრეთვე სისხლნაკლებობისას და ამოსახველებელ საშუალებად სასუნთქი გზების კატარის დროს.

1. ძირითადი ჯგუფები და ძიშები

როგორც წესი ხურმის ჯიშები იყოფა სამ ჯგუფად დამტვერიანების შესაბამისად:

1. მუდმივ მდებრობითი, რომლებიც ივითარებენ მხოლოდ მდებრობით ყვავილებს.
2. მუდმივ მამრობითი, რომლებიც ივითარებენ მხოლოდ მამრობით ყვავილებს.
3. ცვალებადი, რომლებიც იცვლიან გემოს დარბილობის ფერს დამტვერვის მიხედვით.

მოსახლეობაში ძირითადად გავრცელებულია სამრეწველო და სამომხმარებლო დანიშნულების შემდეგი ჯიშები:

- ჰაჩია
- ჰიაკუმე
- ფუიუ
- ჩინებული
- როხო ბრილიანტი
- ტანენეში
- ზენჯი-მარუ
- XX საუკუნე
- ტამოპანი და სხვა

ამათგან მოსახლეობაში ყველაზე მეტად გავრცელებული ჯიშებია: ჰიაკუმე ანუ კოროლიოკი და ჰაჩია ანუ „ალიადა“ როგორც მას მოსახლეობაში ეძახიან.

სუბტროპიკული ხურმის ყვავილობის პერიოდი მაისიდან ივნისის შუა რიცხვებამდე გრძელდება. ვინაიდან მისი მსხმოიარობა დამოკიდებულია დამტვერვაზე, ზღის გაშენებისას აუცილებელია დამამტვერიანებელი ჯიშების შერჩევით ალაგ-ალაგ დარგვა.

ჩვენი პროექტის ფარგლებში თურქეთიდან შემოტანილია რამოდენიმე ახალი პერსპექტიული ჯიში, რომელთაგანაც წინასწარი შეფასებით ყურადღებას იმსახურებს:




Hachiya

წარმოშობა - იაპონია. ნაყოფი - ძალიან დიდი ზომისაა, ახასიათებს ძალიან მაღალი ხარისხის გემური თვისებები. ფერი - მოწითალო-სტაფილოსფერი. დამტვერვის გარეშე ხასიათდება უკურკო ნაყოფებით. დამტვერვისას წარმოიქმნება კურკიანი ნაყოფები. ნაყოფის რბილობი დამწიფებისას იღებს ყავისფერ ფერს, მაგრამ ინარჩუნებს სიმკვრივეს. უკურკო ნაყოფებს რბილობი მოწითალო-სტაფილოსფერია და ხასიათდება გამაღიზიანებელი „პირის დაშუშვის“ გემოთი. ამიტომ, მისი საკვებად მიღება

მიზანშეწონილია სრული დამწიფების შემდეგ, როდესაც ნაყოფი მთლიანად დარბილდება. მსხმოიარობას იწყებს მე-4 წელს. მოსავლის კრეფა იწყება ნოემბრის დასაწყისიდან.

2. ხურმის ნერგის გამოყვანა

როგორც წესი ხურმა მრავლდება კალმებით, თესლით და კვირტით მცნობით. ამათგან გამრავლების ყველაზე მიღებული და გავრ-ცელებული ფორმაა ოკულირება (კვირტით მცნობა). საძირედ ძირითადად იყენებენ კავკასიური ხურმის, იშვიათად ვირგინიის ხურმის თესლნერგებს.



კავკასიური ხურმის საძირეები ინვითარებენ ფუნჯა ფესვთა სისტემას, რაც შემდგომში ხელს უწყობს ნერგების გადარგვის შემდგომ პერიოდში მათ ადვილად გახარებას, ხოლო ვირგინიის ხურმის მცენარეები ინვითარებენ მთავარღერძა სუსტად განვითარებულ ფესვტა სისტემას, რის გამოც ცუდად იტანენ გადარგვას.


მცნობას აწარმოებენ გამოზრდილ სტანდარტულ საძირეებზე აგვისტო-სექტემბერში, თუმცა მცნობა შეიძლება განვახორციელოთ ადრე გაზაფხულზეც, მაგრამ ამისათვის საჭიროა საკვირტო კალმები ავიროთ თებერვლის პირველ ნახევარში და შევინახოთ გრილ ტენიან ადგილას სილაში.

3. ხურმის დარგვა, ბალის გაშენება

ბალის გაშენებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტერიტორიის სწორად შერჩევას, რადგანაც იგი იტანს 18-20° ყინვას და ნალექების რაოდენობა უნდა აღემატებოდეს 1000 მმ-ზე მეტს, ხოლო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3000-3500 ვეგეტაციის პერიოდში. კარგად ხარობს ნოყიერ, წყალგამტარ, ნეიტრალურ და სუსტი მჟავე რეაქციის მქონე ნიადაგში.

მისი გაშენებისათვის როგორც ყველა სხვა მრავალწლიანი კულტურისათვის ნიადაგი უნდა დამუშავდეს ღრმად 40-45 სმ-ის სიღრმეზე. 15°-ის მეტი დაქანების ფართობებზე უნდა მოეწყოს ტერასები. მცენარეები ირგვება 6 x 6, 6 x 7, 6 x 8 მეტრის დაშორებით. შემჭიდროებული წესით ან

სადედე ბალის გაშენებისას მცენარეები ირგვება 5 x 4, 5 x 5 მეტრი კვების არით.



დარგვის წინ ორმოები იჭრება 0,5 მეტრის სიღრმეზე და 1 მეტრის დიამეტრით. ორმოში

აუცილებელია შეტანილი იქნას 20-25 კგ წინასწარ მომზადებული ორგანული სასუქი (ტორფ-ნაკელიანი კომპოსტი ან გადამწვარი ნაკელი და სხვა). მძიმე და თიხა ნიადაგებში სასურველია სილისა და ნახერხის შეტანა.

დარგვის წინ როგორც წესი თითო ძირის ქვეშ შეაქვთ 60 გრ. ფოსფოროვანი და 40 გრ. კალიუმისანი სასუქი. დარგვისას უნდა მოხდეს ნერგების ფესვების შეკვცა და წუნწუხში ამოვლება, მცენარის 80-100 სმ. სიმაღლეზე გადაჭრა და დარგვა. ახალდარგული ნერგი აუცილებლად უნდა მოირწყას და აიკრას ჭიგოზე.

ნერგების დარგვის საუკეთესო დროა გვიანი შემოდგომა (ნოემბერი) და ადრე გაზაფხული (15 აპრილამდე). მასიური პლანტაციის (1 ჰა-ზე მეტი) გაშენებისას აუცილებელიაქარსაცავი ზოლების მოწყობაც.

4. ხურმის ბალის განოყიერება

მცენარის განვითარების საწყის ეტაპზე ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვარჯის ფორმირებას. ამიტომ შტამბის ქვედა ზოლში უნდა მოცილდეს ზედმეტი ყლორტები და დატოვებული იქნას სხვადასხვა მხარეს 4-5 ყლორტი, რომელთაგან ერთს უნდა მიეცეს ლიდერის მნიშვნელობა.

მომდევნო წლებში როგორც წესი ადრე გაზაფხულზე საჭიროა გასხვლითი ოპერაციების ჩატარება, მცენარეს უნდა მოცილდეს ზედმეტი და გამხმარი ტოტები.


ნერგვის დარგვის შემდეგ საჭიროა ნიადაგის გაფხვიერება, სარეველების და მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლითი ღონისძიებების ჩატარება პრაქტიკაში დანერგილი აგრო-წესების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მათი მორწყვა.

ახალგაზრდა ნარგავების ქვეშ 8-10 წლამდე შეაქვთ მინერალური სასუქები ერთ ჰა-ზე გაანგარიშებით აზოტოვანი 90-100 კგ. ფოსფოროვანი 70-80 კგ. და კალიუმის 30-40 კგ. მოზრდილი ხეების ქვეშ შესატანი სასუქების რაოდენობა უნდა გაიზარდოს 30-40 %-ით.

	სუფთა ნივთიერება, კგ/ჰა P2O5	სუფთა ნივთიერება, კგ/ჰა K2O	ამონიუმის გვანჯილა, კგ/ჰა
ახალი ბაღი (1-8 წელი)	70-80	30-40	90-100
მსხმოიარე ბაღი (8 წლის ზემოთ)	100-120	50-70	120-130

ფოსფოროვან-კალიუმის სასუქები შეტანა ხდება ადრე გაზაფხულზე ნიადაგის დამუშავების წინ, ხოლო აზოტოვანი სასუქები სასურველია შეტანილ იქნას ორჯერადად. ბაღის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე სასურველია მოეწყოს წვეთობრივი მორწყვის სისტემა, თუ ამის შესაძლებლობა არ არის ზაფხულის (ვეგეტაციის) პერიოდში სასურველია მცენარეების მორწყვა ორჯერ მაინც.

5. ხურმის გასხვლა



ახალგაზრდა ნარგავებში ვარჯის ფორმირებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ცენტრალურ ღერძზე (შტამპზე) უნდა იყოს 5-7 ჩონჩხის იარუსებად განვითარებული გვერდითი ტოტები.

გაზაფხულზე მცენარეთა გასხვლითი ოპერაციების ჩატარების დროს მცენარეს უნდა მოცილდეს გამხმარი, გადატეხილი და მსხმოიარობა დამთავრებული ყლორტები, რადგანაც როგორც წესი

შემდგომ წლებში ისინი უნაყოფოა, ამავე დროულად ხელს უწყობს ვარჯის ზედმეტი ტოტების მოცილებას და ვარჯის შიგა არეალის უკეთ განათებას.

6. ხურმის მავნებელი — დაავადებები და მასთან ბრძოლა

ხურმის ნარგავებზე გავრცელებულია შემდეგი მავნებელ-დაავადებები: ფარიანები, ცრუფარიანები, თრიფსები, წითელი ტკიპა, ნაყოფის ნაცრისფერი სიდამპლე, ფოთლების ხშირი სილაქავე და ხურმის ქეცი.

მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენება მინერალური ზეთის ემუსია, ბორდოს ერთ პროცენტთან ხსნარი და ფოსფორ-ორგანული პრეპარატები, პრეპარატების დოზები და გამოყენების ვადა ყველა კონკრეტულ სიტუაციაში უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად, მცენარის ზრდა-განვითარების და მავნე ორგანიზმების განვითარების ფაზების შესაბამისად.

აღნიშნული მცენარე იშვიათად განიცდის მავნებელ-დაავადებათა მხრიდან დაზიანებას.

7. მოსავლის აღება და შენახვა

მოსავლის აღების დრო დამოკიდებულია ჯიშზე და მისი გამოყენების პირობებზე, მაგალითად ჰაჩია იკრიფება მაშინ, როდესაც ნაყოფის ზედაპირის ორი მესამედი გაყვითლებულია, ადრე მოკრეფილი ნაყოფი ცუდი გემოსია. ჰიაკუმეს ნაყოფის კრეფა დასაშვებია მათი სრული სიმწიფის შემდეგ.

ჩინებული ჯიშის ნაყოფი ტრანსპორტირებადია და შენახვასაც კარგად უძლებს, ამიტომ ნაყოფის კრეფა უნდა მოხდეს მისი სიმწიფეში გადასვლამდე. კრეფის დროს აუცილებელია ხურმის ნაყოფს არ მოსცილდეს ყუნწი და ნაყოფის კანი არ დაზიანდეს.

სრულ სიმწიფეში შესვლის შემდეგ ნაყოფი კარგავს სიმწკლარტეს, რბილობი რბილდება და ნაკლებად ტრანსპორტირებადი ხდება. მსხვილნაყოფა ჯიშები ტარაზე ეწყობა ერთ რიგად. ხურმის ნაყოფის შენახვის ოპტიმალური ტემპერატურაა 1-2°C ამ შემთხვევაში ის თავს მარტამდე ინახავს..

ბურძინის ბაღის გაშენების (საშუალო ზრდის საბირეუ) და 8 წლის მანძილზე მივლის ხარვეზები და მსხმთიარე ბაღის მარეინალური მოვლა

ბიზნეს-პლანის მიხედვით	37 179	ერთობლივი მიხედვით	13 488
სულ ხარჯი (საინვესტიციო და 8 წლის მანძილზე მოვლა), ლარი:	50 667		
სულ შემოსავალი, ლარი:	13 488		
მარეინალური მოვლა მე-6 წელს, ლარი:	7 442		
მსხმთიარე ბაღის ყოველწლიური ხარჯი, ლარი:	26 667		
წლის მოსავლის რაოდენობა, კგ:	0,80		
ერთობლივი ფასი, ლარი/კგ:	21 333		
მსხმთიარე ბაღის განვითარება, ლარი:	13 891		

მსხმთიარე ბაღის ყოველწლიური ხარჯი, ლარი:

სამუშაოები	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთობლივი ფასი	სულ ტარაზობა
1) ნიადაგის ანალიზის გაკეთება	ჯამი	1	300,00	300
2) ნერვის შეტანა	კგ	333	1,50	500
3) ნიადაგის შეტანა ბორცვის ჩასაყრდენი	მონ	10	50,00	500
4) მინერალიზაცია სასუქების შეტანა (NPK) (8 წლის მარჯაო)	კგ	800	1,40	1 120
5) კალციუმის შეტანა (8 წლის მარჯაო)	კგ	100	25,00	2 500
6) მინერალიზაცია სასუქების შეტანა (N) (8 წლის მარჯაო)	კგ	500	0,80	400
7) წვეთოვანი სისტემის მასალის მომზადება	მტერი	1	4500	4 500
სულ				9 820

მოვლის ხარვეზები:

სამუშაოები	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთობლივი ფასი	სულ ტარაზობა
1) სასუქების შეტანა	კგ	1	150,00	150
2) ჰორიზონტი მოხვანა	კგ	1	560,00	560
3) დასაფენი 3 ფენითი კუთხით	კგ	1	140,00	140
4) დასაფენი 4 ფენითი	კგ	2	70,00	140
5) მოთხრობის მომზადება	ცდო	333	0,50	166,67
6) დაფენი	ცდო	333	0,50	166,67
7) რწყვა წვეთოვანი სარწყვი სისტემით და ფურცოვანად	კგ	3	35,00	105
8) ფურცოვანი სარწყვი სისტემის მომზადება	კგ	2	100,00	200
9) შენახვა	კგ	2	30,00	60
10) მოთხრობა	კგ	3	100,00	300
11) მოთხრობის ნორმირება	ცდო	1	0,30	0,30
12) სარწყვი წყლის გადასახადი	ჯამი	1	75,00	75
13) მიწის გადასახადი	ჯამი	1	84,00	84
სულ				2 569

მეორე წელი

სამუშაოები	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთობლივი ფასი	სულ ტარაზობა
1) სხვა-ფორმირება	კგ	1	50,00	50
2) რწყვა წვეთოვანი სარწყვი სისტემით და ფურცოვანად	კგ	8	35,00	280
3) ფურცოვანი სარწყვი სისტემის მომზადება	კგ	3	100,00	300
4) დასაფენი ფურცოვანად	კგ	8	30,00	240
5) მინერალიზაცია სასუქების ჩასარება	კგ	2	50,00	100
6) სარწყვი წყლის გადასახადი	ჯამი	1	75,00	75
7) მიწის გადასახადი	ჯამი	1	84,00	84
სულ				1 129

მესამე წელი

სამუშაოები	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთობლივი ფასი	სულ ტარაზობა
1) სხვა-ფორმირება-აინფორმის მოცდობა	კგ	2	100,00	200
2) რწყვა წვეთოვანი სარწყვი სისტემით და ფურცოვანად	კგ	8	35,00	280
3) ფურცოვანი სარწყვი სისტემის მომზადება	კგ	3	100,00	300
4) მინერალიზაცია სასუქების ჩასარება	კგ	8	30,00	240
5) მინერალიზაცია სასუქების ჩასარება	კგ	2	50,00	100
6) სარწყვი წყლის გადასახადი	ჯამი	1	75,00	75
7) მიწის გადასახადი	ჯამი	1	84,00	84
სულ				1 279

მეოთხე წელი

სამუშაოები	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთობლივი ფასი	სულ ტარაზობა
1) სხვა-ფორმირება-აინფორმის მოცდობა	კგ	2	100,00	200
2) რწყვა წვეთოვანი სარწყვი სისტემით და ფურცოვანად	კგ	8	35,00	280
3) ფურცოვანი სარწყვი სისტემის მომზადება	კგ	3	100,00	300
4) მინერალიზაცია სასუქების ჩასარება	კგ	8	30,00	240
5) მინერალიზაცია სასუქების ჩასარება	კგ	2	50,00	100
6) სარწყვი წყლის გადასახადი	ჯამი	1	75,00	75
7) მიწის გადასახადი	ჯამი	1	84,00	84
სულ				1 279

ბურმის ბაღის გაშენების მოვლის აგროტექნიკური დონისძიებების ჩატარების ვადები

ბაღის ტიპი: ნახევრად ინტენსიური	ერთეული: 1 ჰა
პირითადი მოცემულობა	
პირველი მსხმოიარობა/საშუალო მოსავალი	მე-3 წელი
სრული მსხმოიარობა/საშუალო მოსავალი	მე-5 - 6 წლიდან
ბაღის პროდუქტიულობა	20 წელი და მეტი

#	ტექნოლოგიური პროცესი	ჯერადობა	ა გ რ ო კ ა ლ ე ნ დ ა რ ი															
			IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ნიადაგის მომზადება																		
1	ნიადაგის ანალიზის გაკეთება	1																
2	ნერგის შექმნა	1																
3	ნაკელის შექმნა მირეგში ჩასაყრელად	1																
4	მინერალური სასუქების შექმნა (NPK) (8 წლის მარაგი)	8																
5	პესტიციდების შექმნა (8 წლის მარაგი)	8																
6	მინერალური სასუქების შექმნა (N) (8 წლის მარაგი)	8																
პირველი წელი (დარგვა & ირიგაციის მოწყობა)																		
1	სასუქების შექმნა	1																
2	პლანტაციით მოხვნა	1																
3	გადახვნა 3 ფრთიანი გუთნით	1																
4	დადისკვა	1																
5	ორმოების მომზადება	1																
6	დარგვა	1																
7	რწყვა წვეთოვანი სარწყავი სისტემით და ფერტიგაცია	სისტემატიურად																
8	ფრეზირება ან რიგთამორისი კულტივაცია	2-3 საჭიროებისამებრ																
9	შენამვლა	3-4 საჭიროებისამებრ																
10	თოხნა	1-2 საჭიროებისამებრ																
11	ყლორტების ნორმირება	01.აზვ																
12	სარწყავი წყლის გადასახადი	1																
13	მიწის გადასახადი	1																
მეორე წელი																		
1	სხვა-ფორმირება	1																
2	რწყვა წვეთოვანი სარწყავი სისტემით და ფერტიგაცია	სისტემატიურად																
3	ფრეზირება ან კულტივაცია	2-3 საჭიროებისამებრ																
4	შენამვლა ფუნგიციდებით	3-4 საჭიროებისამებრ																
5	მწვანე ოპერაციების ჩატარება	1-2 საჭიროებისამებრ																
6	სარწყავი წყლის გადასახადი	1																
7	მიწის გადასახადი	1																
მესამე წელი																		
1	სხვა-ფორმირება	1																
2	რწყვა წვეთოვანი სარწყავი სისტემით და ფერტიგაცია	სისტემატიურად																
3	ფრეზირება ან კულტივაცია	2-3 საჭიროებისამებრ																
4	შენამვლა ფუნგიციდებით	3-4 საჭიროებისამებრ																
5	მწვანე ოპერაციების ჩატარება	1-2 საჭიროებისამებრ																
6	სარწყავი წყლის გადასახადი	1																
7	მიწის გადასახადი	1																
მეოთხე წელი																		
1	სხვა-ფორმირება	1																
2	რწყვა წვეთოვანი სარწყავი სისტემით და ფერტიგაცია	სისტემატიურად																
3	ფრეზირება ან კულტივაცია	2-3 საჭიროებისამებრ																
4	შენამვლა ფუნგიციდებით	3-4 საჭიროებისამებრ																
5	მწვანე ოპერაციების ჩატარება	1-2 საჭიროებისამებრ																
6	სარწყავი წყლის გადასახადი	1																
7	მიწის გადასახადი	1																
მეხუთე წელი																		
1	სხვა-ფორმირება	1																
2	ნასხლავის გამოკანა	1																
3	ფრეზირება ან კულტივაცია	2-3 საჭიროებისამებრ																
4	მწვანე ოპერაციები	1-2 საჭიროებისამებრ																
5	რწყვა	სისტემატიურად																
6	შენამვლა ფუნგიციდებით	3-4 საჭიროებისამებრ																
7	შენამვლა ჰერბიციდებით	3-4 საჭიროებისამებრ																
8	მოსავლის მოკრეფა - გადაზიდვა	1																
9	მოსავლის დაზღვევა	1																
11	სარწყავი წყლის გადასახადი	1																
12	მიწის გადასახადი	1																

სარჩევი:

შესავალი	1
1. ძირითადი ჯგუფები და ჯიშები	1
2. ხურმის ნერგის გამოყვანა	2
3. ხურმის დარგვა, ბაღის გაშენება	3
4. ხურმის ბაღის განოყიერება	3
5. ხურმის გასხვლა	4
6. ხურმის მავნებლები - დაავადებები და მათთან ბრძოლა	5
7. მოსავლის აღება და შენახვა	5
ხურმის ბაღის გაშენების (საშუალო ზრდის საძირეზე) და 8 წლის მანძილზე მოვლის ხარჯები და მსხმოიარე ბაღის მარჟინალური მოგება	6
ხურმის ბაღის გაშენების მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების ვადები	7

ბუკლეტები გამოცემულია პროექტი "მეხილეობის განვითარების ხელშეწყობა კახეთში" ფარგლებში

პროექტის განმხორციელებელი: HEKS/EPER და კავშირი "აგროსერვისი".

დამუშავებულია: AS Consulting-ის მიერ.

პროექტის მიზანს წარმოადგენს: კახეთის რეგიონის ხილის მწარმოებელი მცირე და საშუალო ფერმერების შემოსავლების ზრდის ხელშეწყობას, რაც გამოიხატება:

1. თანამედროვე ტიპის მეხილეობის საკითხებში ცოდნის და ინფორმაციის ხელმისაწვდომლობის გაზრდაში;
2. თანამედროვე ტიპის ჯიშების და ნერგების ხელმისაწვდომლობის გაზრდაში;
3. ფერმერთა ჯგუფების უკეთ ორგანიზებაში და საბაზრო კავშირების დამყარებაში ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში: ყვარლის და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში შექმნილია თანამედროვე ტიპის ხეხილის სადედე ბაღების და სანერგე მეურნეობები. გაშენებულია: ბლის, ალუბლის, ქლიავის, ტყემლის, ალუჩის, გარგრის, ნუშის, ხურმის, ატმის, ვაშლატამას, ბროწეულის, თხილის, ჟოლოს, მაცვლის და მოცხარის სხვადასხვა ჯიშების სადემონსტრაციო ბაღები. გაკეთებულია ამავე კულტურების სანერგე მეურნეობები. სანერგე და საძირე მასალა შემოტანილია თურქეთიდან.

პროექტის ბენეფიციარი სანერგეების მიერ გამოყვანილი ნერგების გაყიდვა დაიწყება 2018 წლის გაზაფხულიდან:

1. რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „გილე“ - გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ქ. გურჯაანი, შ. ნუცუბიძის ქ. #4 - **ჟოლო, მაცვალი, მარწყვი**
2. ინდივიდუალური მეწარმე „დავით ახალბედაშვილი“ - ყვარლის მუნიციპალიტეტი, ქ. ყვარელი, ჩოლოყაშვილის ქ. 3 - **თხილი, ნუში, ბროწეული, ჟოლო, მაცვალი**
3. ინდივიდუალური მეწარმე „ისაბალ სოლოდაშვილი“ - საქართველო, ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი გავაზი - **ბალი, ალუბალი, ქლიავი, ტყემალი, ალუჩა, ხურმა**
4. ინდივიდუალური მეწარმე „ვაჟა რუაძე“ - გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩუმლაყი, მე-17 ქუჩა #3 - **ბალი, ალუბალი, ქლიავი, გარგარი, ნუში, ვაშლატამა, ატამი**